სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება 010303/10/287-4

ქ. თბილისი **29 აგვისტო, 2011 წელი**

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის გიორგი ცხაკაიას სახით და მეორეს მხრივ „ARUP" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი წარმომადგენლის შონ მეისონის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-10[1] მუხლის III პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 1586 განკარგულება) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, ექსპერიმენტალური საველოსიპედო გზის მოსაწყობად საპროექტო მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 **ხელშეკრულების ობიექტია:** ქ. თბილისში, ექსპერიმენტალური საველოსიპედო გზის (თავისუფლების მოედანს დააკავშირებს ევროპის მოედანთან) მოსაწყობად საპროექტო მომსახურება.
1.3. **კლასიფიკატორის კოდი – 71320000;**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ევროში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება (შემდგომში ხელშეკრულების საერთო ღირებულება) შეადგენს **14520** (თოთხმეტი ათას ხუთასოცი) ევროს (საქართველოს კანონმდებლობის შესამისად, საშემოსავლოსა და დღგ-ს გარეშე).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა – **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.**
4.2. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, შარტავას ქ. № 7, ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური.

ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური
შესყიდვების საქალაქო სამსახური
რეგისტრაციის ჟურნალი
ხელშეკრულების № .....
სარეგისტრაციო № 801
რეგისტრაციის თარიღი: 14 / 9 / 2011
ფორმირება: 3.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1 მუხლში მითითებული პირები).
5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას.
5.3.თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. მომსახურების გარანტია

6.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
6.2.შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
6.3.შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
6.4. ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც წარმოიქმნება არასწორად და არაკვალიფიციურად შედგენილი პროექტის (ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში) შედეგად, რაც მოითხოვს დამატებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებელ ხარჯებს, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

7.ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ევროში.
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
7.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.ფასები

8.1.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
9.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
9.2.4. გამოყოს პროექტის კოორდინატორი არუპთან კოორდინირებული მუშაობის მიზნით.
9.2.5. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს მიაწოდოს პროექტის შემუშავებისათვის აუცილებელი მონაცემები:

- ტერიტორიული არეალის დეტალური და რეალური რუკების/გეგმების მიწოდება (GIS და AutoCAD პროგრამებში შესრულებული);
- ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება სამანქანო მოძრაობის ნაკადების შესახებ;
- მოძრაობის წესების შემუშავება ველო-ბილიკებისათვის.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
9.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
9.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
9.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
9.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2.დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.4.3. ხელშეკრულებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
9.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, (ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
9.6 წარმოუდგინოს შემსყიდველს სრულყოფილი პროექტი, რომელშიც აღწერილი იქნება ველო-ბილიკის მარშრუტი (მარშრუტის დემონსტრირებით), სადაც აღწერილი იქნება საკითხები და ხელისშემშლელი ფაქტორები, ასევე მათი გადაჭრის გზები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ცვლილებები სავალი გზის სიგანეში;
- ტროტუარების გამოყენება;
- პარკირების შეცვლა ან გაუქმება;
- გზაჯვარედინები, შენობებთან მისასვლელი გზები;
- სამშენებლო სამუშაოების საჭიროება (ტროტუარებისა და მოაჯირების დადაბლება);
- საგზაო და საველოსიპედო ნიშნები;
- ველოსიპედების პარკირების ადგილები;
- ავტობუსის გაჩერებები;
- საკანალიზაციო ჭები (ჩასაძრომი სივრცეები); უსაფრთხოების საკითხები.

9.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 3 (სამი) ეგზემპლარად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით: ფორმატი AUTOCAD და GIS პროგრამებში შესრულებული.
9.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი აღგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

11. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა და ვალდებულებების ფარგლები

11.1. მიმწოდებელი საკუთარ თავზე იღებს არანაკლებ 1,000,000 (ერთი მილიონი) ევროს ღირებულების პროფესიული დაზღვევის გარანტიას სამუშაოების შესაბამისი ნაწილის დასრულების თარიღიდან 6 (ექვსი) წლის ვადით იმ პირობით, რომ დაზღვევა ხელმისაწვდომი იქნება კომერციულად მისაღებ ტარიფებში.
11.2. მიმწოდებლის სრული ან შეთანხმებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა შეზღუდულია 625 000 (ექვსას ოცდახუთი ათასი) ევრომდე ან ღირებულების ათმაგ ფასამდე, რომელიც აღნიშნული ორიდან უფრო ნაკლები იქნება.

12. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, "ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. სადაო საკითხები

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ოთხ ეკზემპლარად ქართულად და ორ ეკზემპლარად ინგლისურად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი პირი მიმწოდებელთან და 4 პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.
16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი XVII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერია

გიორგი ცხაკაია
მერის მოადგილე
ქ. თბილისის მერია
ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7
სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
საიდ. კოდი: 204521794
ა/ა: GE95LB0125152101627000

მიმწოდებელი:

„ARUP"

შონ მეისონი
წარმომადგენლი
„ARUP"

ანგარიშის სახელი : Ove Arup and Partners Ireland
მისამართი: Bank of Ireland (BOI), St. Stephens Green, Dublin 2.
ანგარიშის ნომერი : 12342315
საიდ.კოდი: 90-00-84
IBAN: IE20 BOFI 9000 8412 342315
BIC/SWIFT: BOFIIE2D

Contract on State Procurement 010303/10/287-4

Tbilisi **29 August, 2011**

Of the one part, Tbilisi City Hall (hereinafter referred to as a Procurer), in the face of Deputy Mayor of Tbilisi, Giorgi Tskhakaya and of the other part, ARUP (hereinafter referred to as a Supplier) in the face of its representative Shon Mayson, guiding with current legislation of Georgia, on the basis of sub-paragraph „D" of the paragraph III of the article 10^1 of Law of Georgia „On State Procurement", issued on April 20, 2005, are concluding this Contract on the following:

1. **Contract subject and object**

1.1 **Contract subject**: procurement of the designing service for arranging experimental cycling road in Tbilisi funded from Tbilisi City Budget. Procurement will be executed by means of simple procurement rule in accordance with terms and conditions defined in this Contract.
1.2 **Contract object:** designing service for arranging experimental cycling road (connecting Freedom Square to Europe Square) in Tbilisi.
1.3. **Classification code – 71320000;**

2. **Contract price**

2.1. The Contract price shall be defined in Euros
2.2. Total price of the procurement object (hereinafter referred to as Total Price) amounts to 14520 (fourteen thousand, five hundred and twenty) Euro (According to Georgian legislation excluding income tax and VAT).

3. Control on Contract Implementation

3.1 Control on performance of obligations taken by the Supplier under this Contract will be provided by the staff of Economic Policy Agency of Tbilisi City Hall.

4. Service provision terms and conditions

4.1 **Deadline for project documentation delivery – 20 calendar days (tventy) after concluding the Contract.**

4.2. Place for project documentation delivery – Tbilisi, Shartava str. #7, Tbilisi City Hall, Economic Policy Agency.

5. Rule of receive and accept of the procurement object

5.1. Provided service shall be accepted after delivering service on the basis of receive and accept act (persons specified in the article 3.1 of Special Conditions of this Contract shall be deemed authorized on signing receive and accept act from the side of the Procurer).

5.2. The Procurer verifies completion of the project documentation prepared and presented by the Supplier.

5.3. In the event, the project fails to comply with Contract terms, in accordance with the established rule, the Procurer is entitled to design an act with or without the supplier.

5.4. In line with issuing receive and accept act, the Supplier shall be entitled to present relevant tax documentation to the Procurer (in compliance with current legislation).

6. Service guarantee

6.1. The quality of project documentation shall comply with requirements of construction standards and rules;

6.2. The Procurer shall be entitled to immediately notify the Supplier about any defects identified in the project documentation as a result of expertise.

6.3. Upon receipt of the notification, the Supplier shall be obliged to eliminate any defect identified in the project documentation within 10 (ten) calendar days at its own expenses.

6.4. In the event, any defect occurs due to incorrect and unqualified project design (and such defect has not been eliminated), requiring additional, unexpected expenses, the Supplier (designing company) shall indemnify any works performed as a result of such circumstances.

7. Payment

7.1 Payment shall be made in Euros with non-cash transaction.
7.2 Payment form – non-cash.
7.3 Payment shall be made in no later than 30 (thirty) calendar days after receive and accept act is signed by the parties.

8. Fees

8.1. No amendment can be made to the Contract, if such amendment may increase the total price of the Contract or may complicate conditions for the procurer organization apart from cases considered in the article 398 of the Civil Code of Georgia.
8.2. Where circumstances considered in the article 398 of the Civil Code of Georgia occur, total cost of the Contract shall not be increased by more than 10%.

9. Duties and Obligations of Parties

9.1. Procurer and the Supplier are acting in full compliance with legislation of Georgia.
9.2 The Procurer shall be obliged to:
9.2.1. Fulfill obligations undertaken by this Contract in a timely and honest manner.
9.2.2. Notify the Supplier about any special condition arising in the course of service provision under this Contract.
9.2.3. Reimburse the service price to the Supplier in accordance with the conditions hereon.
9.2.4. Allocate Project Coordinator to provide coordinated work with ARUP.
9.2.5. Where needed, provide the Supplier with all data necessary for the project design:

- Delivery of detailed and authentic maps of the territorial area (made in GIS and AutoCAD software)
- Deliver all available information about the transport movement flows
- Develop movement rules on cycling paths.

9.3. The Procurer shall be entitled to:
9.3.1.. Provide control and supervision on fulfillment of the Contract conditions by the Supplier.
9.3.2. Provide control on design of the project documentation.
9.3.3. Receive project documentation from the Supplier with due observance of the relevant rule.
9.4. The Supplier shall be obliged to:
9.4.1. Fulfill obligations undertaken by this Contract in a timely and honest manner.
9.4.2. Satisfy the request of the Procurer on provision of additional data in compliance with due observance of the rule established by current legislation.
9.4.3. Eliminate an defect identified in the project documentation agreed under this Contract in no later than 10 (ten)calendar days after receiving the relevant notification without charging any additional expenses to the Procurer.
9.4.4. In compliance with project documentation, if the need for additional works occurs in the course of the ongoing works (when the defect has not been eliminated), make relevant correction to the project documentation without incurring additional expenses to the Procurer.

9.4.4. In compliance with project documentation, if the need for additional works occurs in the course of the ongoing works (when the defect has not been eliminated), make relevant correction to the project documentation without incurring additional expenses to the Procurer.
9.6 Present the Procurer with a complete project where cycling path route (by demonstrating the route) is described. The project shall reflect issues and frustrations as well as ways for their solution (where such exist):

- Changes in the width of the pathways
- Usage of pavements
- Change or cancellation of parking places
- Crossroads, pathsways to the buildings.
- Need for construction works (lowering pavements and rails)
- Road and bicycle signs
- Parking places for bikes.
- Bus stops
- Sewege wells (holes) safety-related issues.

9.5 Project documentation shall be presented in 3 (three) counterparts; herewith, the project shall also be sent electronically, designed in this format – AUTOCAD and GIS software.
9.6. The Provider has right to:
9.6.1. Demand reimbursement of the service fee in compliance with terms and conditions of this Contract.

10. Defaults

10.1. Any defaults related to this Contract or delay in service delivery shall be subject to imposing a penalty to the defaulting part, in the amount of 0.1% of the total Contract price on each overdue day. In cases, where one party fails to fulfill contract obligations partially, the penalty shall amount to 0.1% of the defaulted part.

11. Professional Indemnity Insurance and Limit of Liability

11.1. The Supplier will commit to maintain Professional Indemnity Insurance of not less than €1,000,000 (One million) for a period of 6 (six) years from the date of practical completion of the relevant part of the works provided that such insurence remains available at commercially reasonable rates.

11.2. The Supplier's total liability under or in connection with this Agreement **shall be limited** to €625,000 (six hundred twentyfive thousand) or 10 times of the fee, wichever is the lesser.

12. Force majeure

12.1. The Parties shall be released from responsibility for full or partial failure to meet Contract obligations, if such failure is caused by force majeure circumstances, such as: flood, fire, earthquake and other natural disasters; wars and military actions, quarantine, significant cut of budgetary assignations if they directly affect the contract performance. In cases like these, period for fulfillment of obligations shall be extended till such emergency conditions and natural disasters eliminate.
12.2. The Party affected by force majeure circumstance, is obliged to immediately notify the other party about the ongoing situation.
12.3. In the event, full or partial failure of Contract obligations lasts more than a month, the Parties have right to terminate the Contract without the right to demand compensation.

13. Review of Contract conditions

13.1 The Supplier may receive the right to change the project documentation delivery date only on the basis of the Procurer's approval, in force majeure circumstances or other objective conditions.

14. Contract validity period

14.1 The Contract shall come into effect on the day it is signed and shall be valid till **December 31, 2017**.

15. Disputes

15.1. Any disputes or disagreement in opinions shall be resolved by mutual negotiations between the parties.
15.2. In the event, the Procurer and the Supplier fail to reach agreement in 30 (thirty) days after launch of negotiations with each other, the parties have right to apply to the court by due observance of the rule established in the current legislation.

16. Other conditions

16.1. Conditions not covered in this Contract shall be regulated by Georgian legislation.

16.2. The Supplier has no right to assign its rights and obligations to the third party without a prior written consent of the Procurer.
16.3. In relations with the third person, parties shall be acting with their own title, expenses and risks.
16.4. The Contract is designed in Georgian and in English languages, into four copies in Georgian and into two copies in English, each of them having equal legal force maintained with signatory parties (two copies with a supplier and four copies with a procurer). Any kind of communications related to the Contract has to be performed into Georgian and English languages.
16.5. Any change or amendment to this Contract shall be effective only after it is made in writing and signed by signatory parties.

Article XVII. Legal addresses and requisites of parties

Procurer:

Tbilisi City Hall

Giorgi Tskhakaya
Deputy Mayor
Tbilisi City Hall
Tbilisi, Zh. Shartava str. #7
JSC Liberty Bank
Bank code: LBRTGE22
Ident. code: 204521794
a/a: GE95LB0125152101627000

Supplier:

JSC„ARUP"

Sean Mason
Representative
„ARUP"
JSC

Account Name : Ove Arup and Partners Ireland
Address: Bank of Ireland (BOI), St. Stephens Green, Dublin 2.
Account Number : 12342315
Sort Code : 90-00-84
IBAN: IE20 BOFI 9000 8412 342315
BIC/SWIFT: BOFIIE2D